განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 25 ივნისი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17 აგვისტო, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა (Medicine)
განათლების საფეხური	დოქტორანტურა (საფეხური III)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მედიცინის დოქტორი (Doctor of Medicine) 0919
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	50 ECTS (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიქია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ფიჩხაია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“ შეიქმნა 2011 წელს და აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 2 დეკემბრის N 390 გადაწყვეტილებით მედიცინის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. პროგრამაზე დოქტორანტების პირველი ჩარიცხვა განხორციელდა 2013-2014 სასწავლო წელს.

პროგრამა ამჟამად წარდგენილია რეაკრედიტაციაზე.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია და მოიცავს 180 ECTS; შედგება სასწავლო (50 ECTS) და კვლევითი (130 ECTS) კომპონენტებისგან; სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს: (1) სასწავლო სავალდებულო კომპონენტი - 40 ECTS და (2) სასწავლო არჩევითი კომპონენტი - 10 ECTS. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდურ დახელოვნებას, ხელს უწყობს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და უვითარებს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო უნარებს.

კვლევითი კომპონენტის შემადგენელია სადსერტაციო ნაშრომის მომზდება და დაცვა (130 ECTS).

კვლევითი კომპონენტებიდან სავალდებულოა სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა.

დაცული სადოქტორო დისერტაციების რაოდენობა არის 17.

სადოქტორო პროგრამას ჰქვია „მედიცინა“, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მედიცინის დოქტორი („Doctor of Medicicne“), რომელიც შესაბამისობაშია მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდთან: ფართო სფერო - ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა (Health and Welfare) (09), ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (Health) (091), დეტალური სფერო - მედიცინა (Medicine) (0912).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2020 წლის 25 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან – უნივერსიტეტის რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის მიზანია მოამზადოს მედიცინის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება სწავლის და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; შესაბამისი სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება; კვლევითი და აკადემიური საქმიანობის თანამედროვე სტანდარტების დონეზე, პასუხისმგებლობის აღებით და ეთიკური ნორმების დაცვით, დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვის, კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების, მათი წარმოჩენისა და დასაბუთების, ახალი იდეების სინთეზის უნარი.

სადოქტორო პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისია. ის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „მედიცინა“ დასახული მიზნების მისაღწევად გააჩნია ისეთი წინაპირობები, როგორებიცაა: ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამა; ბ) სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები; გ) მატერიალური რესურსი; ე) საერთაშორისო თანამშრომლობა.

პროგრამის მიზნების და მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან კავშირის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხი: პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში დაცული დისერტაციების ნაწილი (17 დაცული დისერტაციიდან 8 დისერტაცია) მიეკუთვნება დენტალური მედიცინის (სტომატოლოგიის) სფეროს ანუ სხვა სფეროს შინაარსობრივად კუთვნილი დისერტაციებით დოქტორანტებს ენიჭებათ „მედიცინის დოქტორის“ ხარისხი.

„მედიცინის“ სადოქტორო პროგრამა შედგება შემდეგი სასწავლო კომპონენტებისაგან: პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო); კვლევის მეთოდები (სავალდებულო); აკადემიური წერა (სავალდებულო); მოლეკულური მედიცინა (სავალდებულო); სწავლების თანამედროვე მეთოდები (სავალდებულო); პერსონალიზებული მედიცინა (სავალდებულო); პროსპექტუსი (კვლევის პროექტი) (სავალდებულო); ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოყენება კვლევასა და სწავლებაში (არჩევითი); მეცნიერების მენეჯმენტი (არჩევითი); ინგლისური (დარგობრივი) ენა (არჩევითი); პათოლოგიურ პროცესთა მორფო-ფუნქციური საფუძვლები (თანამედროვე ასპექტები) (არჩევითი).

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ყველა კურსის (ჯამურად) და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ერთობლიობაში განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას: პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტად ჩართულია პროფესორის ასისტენტობა, რაც გულისხმობს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/პრაქტიკული დავალების ჩატარებას ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვას; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას; სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას; სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სადოქტორო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, დოქტორანტების ჩართულობა. უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. დოქტორანტები ასრულებენ კვლევაზე დაფუძნებულ სადოქტორო ნაშრომებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტების სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობას და ფინანსურ/საინფორმაციო მხარდაჭერას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის და სწავლების პროცესები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სწავლის და სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება განაპირობებს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავების და მიღწევადობის საფუძველს.

პროგრამის ხელმძღვანელი, მონაწილე აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის ადმინისტრაციის დოქტორანტებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, მხარდაჭერას საინფორმაციო რესურსების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და სხვა საკითხებზე. საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისას გათვალისწინებულია სტუდენტთა საჭიროებები და თავისებურებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასება ხდება ლექციებზე დასწრების, დოქტორანტთა გამოკითხვის გზით. კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ყოველწლიურად ხდება განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირება.

უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას.

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და მონიტორინგი რეგულარული პროცესია რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები - როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები.

- **რეკომენდაციები**
    1. დისერტაციების შინაარსობრივი ნაწილის კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა;
    2. რეკომენდებულია შეიცვალოს სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ამოღებულ იქნას ფრაზა „დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მქონე პირს“.
    3. პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან.
    4. რეკომენდებულია პროგრამაში დოქტორანტების ხელმძღვანელებად დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა.
    5. სასურველი იქნებოდა სფეროს შესაბამისი სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა;
    6. ხარისხის სამსახურმა ყურადღება დაუთმოს პროგრამის შესაბამისობის საკითხს საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
    7. ხარისხის სამსახურმა მონიტორინგის და შეფასების პროცესში ყურადღება დაუთმოს სადოქტორო დისერტაციების შინაარსობრივ შესაბამისობის საკითხს სფეროსთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი თარგმანი იყოს **Doctor of Philosophy /PhD/**.
- სასურველი იქნებოდა მომავალში სტუდენტების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას.
- სასურველი იქნებოდა კვლევის შედეგების ანალიზისათვის საჭირო პროგრამების გამოყენებას დოქტორანტის ხელმძღვანელის ზედამხედველობით დაეთმოს მეტი საათები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **პროგრამის მიზანია** მოამზადოს მედიცინის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება სწავლის და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; შესაბამისი სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება; კვლევითი და აკადემიური საქმიანობის თანამედროვე სტანდარტების დონეზე, პასუხისმგებლობის აღებით და ეთიკური ნორმების დაცვით, დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვის, კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების, მათი წარმოჩენისა და დასაბუთების, ახალი იდეების სინთეზის უნარი. „მედიცინის“ სადოქტორო პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისია. ის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „მედიცინა“ დასახული მიზნების მისაღწევად გააჩნია ისეთი წინაპირობები, როგორებიცაა: ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამა; ბ) სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები; გ) მატერიალური რესურსი; ე) საერთაშორისო თანამშრომლობა.

პროგრამის მიზნების და მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან კავშირის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხი: პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში დაცული დისერტაციების ნაწილი (17 დაცული დისერტაციიდან 8 დისერტაცია) მიეკუთვნება დენტალური მედიცინის (სტომატოლოგიის) სფეროს ანუ სხვა სფეროს შინაარსობრივად კუთვნილი დისერტაციებით დოქტორანტებს ენიჭებათ „მედიცინის დოქტორის“ ხარისხი. ისმის კითხვა: „მედიცინის“ სადოქტორო პროგრამის დასახული მიზნები რამდენად კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და ასახავს თუ რა კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა? ამ კომპონენტში დასმული საკითხები, რომლებიც ეხება ზოგიერთი დისერტაციის შესაბამისობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, დეტალურად განხილულია 2,2 კომპონენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1); ○ სასწავლო კომპონენტების სილაბუსები (დანართი 1); ○ სდასუ, მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოს და დოქტურანტურის დებულება (დანართი 14); ○ დისერტაციები; ○ სდასუ მისია (https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/misia). ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „მედიცინა“ სწავლის შედეგების ფორმულირება შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. სწავლის შედეგებში აღწერილია ის ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა ჰქონდეს პროგრამის კურსდამთავრებულს.

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ არის განსაზღვრული ის კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია სადოქტორო დისერტაციის შესასრულებლად და კვალიფიციური მკვლევარის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა მოგეხსენებათ და უნდა კვლავ აღინიშნოს, რომ „მედიცინის“ სადოქტორო პროგრამის შედეგი გახლავთ სადოქტორო დისერტაცია, რომლის საფუძელზეც დოქტორანტს ენიჭება „მედიცინის დოქტორის“ კვალიფიკაცია.

პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში 17 დაცული დისერტაციიდან 8 დისერტაცია არ შეესაბამება შინაარსობრივად მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი კვალიფიკაციის დონის აღმწერს.

სფეროს შესაბამისი დისერტაციების შემთხვევაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩაშლილია კონკრეტულ შედეგებად და მოიცავს როგორც ცოდნას, დარგისთვის სპეციფიურ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, აგრეთვე ავტონომიურობის და პასუხიმგებლობის ამსახველ შესაბამის შედეგებს;

მედიცინის დოქტორი

1. ავლენს მედიცინის აქტუალურ საკითხებზე თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას;
2. ავლენს კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნას;
3. ახდენს სამედიცინო სფეროში არსებული პრობლემების ფორმულირებას და მათ მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას;
4. აყალიბებს სამედიცინო კვლევის დიზაინს, გეგმავს და ახორციელებს კვლევას, რომლის შედეგები აისახება ეროვნულ და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
5. იყენებს სამედიცინო დისციპლინების სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
6. პროგნოზირებს და ამზადებს რეკომენდაციებს სამედიცინო კვლევის შედეგების გაანალიზების, შეფასების და ინტერპრეტაციის საფუძველზე;

7. აყალიბებს დასკვნებს სწავლების მეთოდების შეპირისპირების, შეფასების და მათი ეფექტურობის დადგენის საფუძველზე;
8. ახდენს სამეცნიერო კვლევის შედეგების წარმოჩენას და დასაბუთებას პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც პროფესიულ ჯგუფებში, ისე ფართო საზოგადოების წინაშე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
9. დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევით პროექტებს და განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლის პროცესს;
10. იღებს პასუხისმგებლობას და ეთიკის ნორმების დაცვით ახორციელებს დამოუკიდებელ, ორიგინალურ, მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევებს და კრიტიკულად აფასებს სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შეფასების პერიოდულობა. სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობით. პროგრამის შედეგების შეფასების ციკლი შედგება ინფორმაციის განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზისგან. განხორციელებული შეფასება უნდა იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე.

პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კომპონენტები, ქულები და კრიტერიუმები. შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ის კონკრეტული აქტივობის შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს სწავლის შედეგს. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება მისი დადასტურების და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული სადოქტორო სწავლების აკადემიური განათლების სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებით.

პროგრამის შედეგების შეფასების მაჩვენებლად გამოიყენება პროგრამის ძირითად ვადაში პროგრამით სწავლის დასრულების მაჩვენებელი. ასევე, პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მაჩვენებელია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი პირობაა პროგრამის განხორციელების ხარისხის და რესურსებით უზრუნველყოფის ყოველწლიური შესწავლა (მონიტორინგი, გამოკითხვები), სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

სფეროს შესაბამისი დისერტაციების შემთხვევაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩაშლილია კონკრეტულ შედეგებად და მოიცავს როგორც ცოდნას, დარგისთვის სპეციფიურ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, აგრეთვე ავტონომიურობის და პასუხიმგებლობის ამსახველ შესაბამის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები (დანართი 1);
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1);
- კურიკულუმის რუკა (დანართი 1);
- სდასუ, მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოს და დოქტურანტურის დებულება (დანართი 14);
- დისერტაციები;
- „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“;

○ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში/განხილვაში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: 1. დისერტაციების შინაარსობრივი ნაწილის კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის დაშვების წინაპირობების მიხედვით: „მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს დიპლომირებული მედიკოსის, დიპლომირებული სტომატოლოგის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ განსაზღვრულ საკონკურსო მოთხოვნებს.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს.

დიპლომირებული მედიკოსის, დიპლომირებული სტომატოლოგის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის გარდა პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება: უცხოური (ინგლისური) ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით. ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, საქართველოში ან უცხოეთში შესაბამის უცხოურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (რომლის ავთენტურობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) წარმოდგენის შემთხვევაში“.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში აღნიშნულია, რომ მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს დიპლომირებულ სტომატოლოგს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

ხსენებული წინაპირობა წინააღმდეგობაშია პროგრამის მიზანთან (მოამზადოს **მედიცინის სფეროს** კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება სწავლის და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; შესაბამისი სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება…“ და პროგრამის სწავლის შედეგებთან (1. ავლენს მედიცინის აქტუალურ საკითხებზე თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას; 3. ახდენს სამედიცინო სფეროში არსებული პრობლემების ფორმულირებას და მათ მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას). აღნიშნულ ჩანაწერში არ არის გათვალისწინებული პროგრამის სპეციფიკა და მაღალი ალბათობით აპლიკანტს ვერ ექნება პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენცია.

ამასთანავე, აღნიშნული პროგრამის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა „მედიცინა“-ზე დაშვება მხოლოდ უცხოური ენის სერთიფიკატის წარდგენით ან გამოცდით

არასამართლიანია. „დიპლომირებული სტომატოლოგის ან მასთან გათანაბრებული პირის“ დაშვება სამართლიანი იქნება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სტომატოლოგია“, მისანიჭებული კვალიფიკაციით „სტომატოლოგიის დოქტორი“.

ამდენად, ჩვენი აზრით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არ არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

ჩარიცხვის პროცედურა არის სრულიად გამჭირვალე და ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი.

ინფორმაციის გავრცელება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ ხდება უნივერსიტეტის პროგრამების კატალოგში, უნივერსიტეტის ვებ-გვერზე; აპლიკანტთათვის საჭირო ყველა აუცილებელი ინფორმაცია, დამატებით თავსდება სოციალურ ქსელებში, ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“ ps://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/30/c5723d94dc255871d652e5d7cafa1d42.pdf
- ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შეიცვალოს სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ამოღებულ იქნას ფრაზა „დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მქონე პირს“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“ შემუშავდა სდასუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა მაჩვენებელი, მათ შორის: შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავ-რებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პასუხობს სადოქტორო პროგრამების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „მედიცინა“ სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამების განხორციელების და დისერტაციის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული მარეგუ-ლირებელი დოკუმენტები, ასევე, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“ სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო 50 ECTS და კვლევითი კომპონენტებისგან; სასწავლო კომპონენტი თავისთავად მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს.

- სასწავლო სავალდებულო კომპონენტი - 40 ECTS;
- სასწავლო არჩევითი კომპონენტი - 10 ECTS;

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდურ დახელოვნებას, ხელს უწყობს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და უვითარებს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო უნარებს.

<u>სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:</u>

- პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი, სავალდებულო);
- კვლევის მეთოდები (5 კრედიტი, სავალდებულო);
- აკადემიური წერა (5 კრედიტი, სავალდებულო);
- მოლეკულური მედიცინა (5 კრედიტი, სავალდებულო);
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 კრედიტი, სავალდებულო);

- პერსონალიზებული მედიცინა (5 კრედიტი,სავალდებულო);
- პროსპექტუსი (კვლევის პროექტი) (10 კრედიტი, სავალდებულო);
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოყენება კვლევასა და სწავლებაში (5 კრედიტი, არჩევითი);
- მეცნიერების მენეჯმენტი (5 კრედიტი, არჩევითი);
- ინგლისური (დარგობრივი) ენა (5 კრედიტი, არჩევითი);
- პათოლოგიურ პროცესთა მორფო-ფუნქციური საფუძვლები (თანამედროვე ასპექტები) (5 კრედიტი, არჩევითი).

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას (130 კრედიტი). პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან, რომლის მიხედვითაც სადოქტორო პროგრამა 3 წელი გრძელდება და მისი სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს, თუმცა არ არის განმარტება სამეცნიერო მიმართულებით კრედიტების მინიჭების შესახებ.

დისერტაციის წარდგენის წინაპირობაა დისერტაციის თემაზე ოთხი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) გამოქვეყნება რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, მათ შორის ერთი საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Procedeengs).

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა ორი ოპონენტის დადებითი დასკვნა.

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია მედიცინის დოქტორი. ფართო სფერო ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა (09), ვიწრო სფერო ჯანდაცვა (091), დეტალური სფერო მედიცინა (0912), სწავლის სფერო 0912.1.1.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, დიპლომირებული მედიკოსის (კლასიფიკატორის ინგლისური თარგმანის მიხედვით **Medical doctor /MD/**) შემთხვევაში მისანიჭებული კვალიფიკაცია მედიცინის დოქტორი ინგლისურად ნათარგმნია, როგორც **Doctor of Medicine.** შესაბამისად აღმოჩნდა, რომ კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია იქნება ინგლისურად **Medical doctor, Doctor of Medicine /MD, DM/,** რაც ვფიქრობთ, მრავალ პრობლემას შეუქმნის დოქტორს სხვა ქვეყანაში. სასურველი იქნებოდა ინგლისურენოვანი თარგმანი ყოფილიყო **Doctor of Philosophy /PhD/**.

პირველი აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში დაცულია 17 სადოქტორო დისერტაცია.

მათგან დაახლოებით 8 დისერტაციის ძირითად საგანს წარმოადგენს პირის ღრუს ლორწოვანის, კბილების, კარიესის, პაროდონტის ანთებითი დაავადებების და სხვ. საკითხები. ჩვენი აზრით, დისერტაციების ამ ნაწილში აღინიშნება შინაარსობრივი შეუსაბამობა არსებული კლასიფიკატორის დეტალურ სფეროსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- დისერტაციები;
- „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“ ps://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/30/c5723d94dc255871d652e5d7cafa1d42.pdf

- ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge
  ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

1. პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი თარგმანი იყოს **Doctor of Philosophy /PhD/**.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მედიცინის“ სადოქტორო პროგრამა შედგება შემდეგი სასწავლო კომპონენტებისაგან: პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო); კვლევის მეთოდები (სავალდებულო); აკადემიური წერა (სავალდებულო); მოლეკულური მედიცინა (სავალდებულო); სწავლების თანამედროვე

მეთოდები (სავალდებულო); პერსონალიზებული მედიცინა (სავალდებულო); პროსპექტუსი (კვლევის პროექტი) (სავალდებულო); ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოყენება კვლევასა და სწავლებაში (არჩევითი); მეცნიერების მენეჯმენტი (არჩევითი); ინგლისური (დარგობრივი) ენა (არჩევითი); პათოლოგიურ პროცესთა მორფო-ფუნქციური საფუძვლები (თანამედროვე ასპექტები) (არჩევითი). ექპსერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სადოქტორო პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე სასურველი იქნება, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში არჩევითი კომპონენტიდან გადმოტანილ იქნას სასწავლო კურსი: პათოლოგიურ პროცესთა მორფო-ფუნქციური საფუძვლები (თანამედროვე ასპექტები), რომელიც მედიცინის სფეროს საბაზისო მიმართულებად უნდა ჩავთვალოთ, რაც შეეხება მოლეკულურ მედიცინას, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ როგორც პერსპექტიული, განვითარებადი და სტუდენტებისათვის მეტად საინტერესო მიმართულება შესაძლებელია განთავსდეს არჩევით კომპონენტთა შორის. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „მედიცინა“ სასწავლო კომპონენტის ყველა კურსის (ჯამურად) და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ერთობლიობაში განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სრული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით. საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სწავლის შედეგების რუქა; ○ საბიბლიოთეკო სერვისის შემოწმება; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სადოქტორო პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე სასურველი იქნება, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში არჩევითი კომპონენტიდან გადმოტანილ იქნას სასწავლო კურსი: „პათოლოგიურ პროცესთა მორფო-ფუნქციური საფუძვლები (თანამედროვე ასპექტები)“, როგორც მედიცინის სფეროს საბაზისო მიმართულება და არჩევით კომპონენტებში განთავსდეს სასწავლო კურსი „მოლეკულურ მედიცინა“.

2. სადოქტორო საფეხურის შემთხვევებში სასურველია ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო კურსებში სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროების და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში „მედიცინა“ პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტად ჩართულია პროფესორის ასისტენტობა, რაც გულისხმობს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/ პრაქტიკული დავალების ჩატარებას ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვას; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას; სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას; თუ დოქტორანტი ამავდროულად არის სდასუ-ს ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო/პრაქტიკულ/სემინარულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში.

სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სადოქტორო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციეში და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, დოქტორანტების ჩართულობა. უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. დოქტორანტები ასრულებენ კვლევაზე დაფუძნებულ სადოქტორო ნაშრომებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტების სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობას და ფინანსურ/საინფორმაციო მხარდაჭერას. კონკრეტული საკითხების საკვლევად, ფინანსირების უზრუნველყოფა, საჭიროებისას ხდება დამატებითი ფონდების ძიება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სწავლის შედეგების რუქა; ○ „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“ ps://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/30/c5723d94dc255871d652e5d7cafa1d42.pdf ○ ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge ○ სადოქტორო ნაშრომები; ○ სტუდენტთა სამეცნიერო პროექტებში, კონფერენციებში, სასწავლო კურსებში ჩართულობის დამადასტურებელი მონაცემები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
